ერი, რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის, მოიპოვებს თავისუფლებას!

დემოკრატი

გიორგობის თვე
30
1989 წელი

№-1

გაზეთი გამოდის 1989 წლის გიორგობის თვის 30-დან

საქართველოს დემოკრატიული პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ორგანო

ძვირფასო თანამემამულენო! თქვენს ხელთაა საქართველოს დემოკრატიული პარტიის /სდპ/ რუსთავის საქალაქო კომიტეტის ორგანო გაზეთ "დემოკრატის" პირველი ნომერი.

ამ გაზეთის სახით ეროვნულ მოძრაობას შეემატა კიდევ ერთი თვითგამოცემა, რომელიც ვიმედოვნებთ პარტიის მძლავრი იარაღი გახდება თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ჩვენი მიზანია: მოსახლეობის ფართო მასებთან, მუშათა კლასსა და ინტელიგენციასთან მჭიდრო კონტაქტისა და ურთიერთანამშრომლობის საფუძველზე ხელი შევუწყოთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ყველა ძალების კონსოლიდაციას და ერთი, საერთო მიზნის სამსახურში ჩაყენებას. ჩვენ კარგად გვესმის, რომ დღევანდელ ეტაპზე ჯერ კიდევ მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც ეშვის თვალით, პესიმისტურად უყურებენ ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობას, თუმცა ეშვიც არ გვეკარება იმაში, რომ ყველა ქართველისათვის საქართველოს დამოუკიდებლობა სანუკვარი მიზანია, რომლის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სამართლიანი და უკომპრომისო ბრძოლის გზით. გაზეთის გამოცემა თვითმიზანი არ გახლავთ და არც საკუთარ აზრს ვახვევთ ვინმეს თავს. უბრალოდ, შევეცდებით ოპერატიულად მოგაწოდოთ ობიექტური ინფორმაცია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენების შესახებ.

თავის დროზე ბოლშევიკები ამტკიცებდნენ, რომ არ არსებობს კეთილი და კარგი მეფე, რაც სავსებით დადასტურდა 1905 წლის სისხლიან კვირა დღეს. დღეს ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ე.წ. საქართველოს კომუნისტური პარტია არ შეიძლება რომ იყოს კარგი, რადგან როგორ ხალხურ პოზიციებზეც არ უნდა იდგეს ის, მაინც რუსეთის ბოლშევიკური პარტიის რეგიონალური ნაწილია და მეტი არაფერი, ხოლო ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კი ამ პარტიის პრინციპების ცხოვრებაში გამტარებელი, რაშიც ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით 9 აპრილის სისხლიანი აქციის შემდეგ.

ძვირფასო თანამემამულენო! ჩვენი ბრძოლის საბოლოო მიზანია საქართველოს სრული დამოუკიდებლობა, ტერიტორიული ერთიანობა და სუვერენიტეტი. ამ ბრძოლას კი არავითარი აზრი არ ექნება თუ არ გავერთიანდით.

მოგიწოდებთ აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ამ დიდ საშვილიშვილო საქმეში. გთხოვთ მოგვწეროთ თქვენი აზრი, გაგვიზიარეთ საკუთარი შეხედულებები ამა თუ იმ მოვლენების მიმართ, გვეკამათეთ, ამ სიტყვის კარგი გაგებით, რამეთუ კამათი შობს ჭეშმარიტებას. იმის თაობაზე კი, თუ რამდენად ობიექტურად შევძლებთ საქართველოში მიმდინარე მოვლენების ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ასახვას, თავად განსაჯეთ.

ჩვენთან არს ღმერთი!

რა ხდება სამაჩაბლოში?..

აქტუალური თემა

დღეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალზე ძნელია, რადგან საქართველოს ისტორიულ მიწაზე მიღებული და შეფარებული ძმის საქციელი ქართველი კაცის ბუნებისათვის მიუღებელი და აღმაშფოთებელია.

ქართველები და ოსები მტრები არასდროს ყოფილან და დღეს, როდესაც ქართველმა ხალხმა, სხვა ხალხების მხარდამხარ, უშეღავათო ბრძოლა დაიწყო რუსეთის იმპერიის მარწუხებისაგან თავის დასაღწევად, ძიძიშვილების ღალატი მართლაც რომ გულსატკენია.

პირველი სერიოზული კონფლიქტი მიმდინარე წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მოხდა. ქართველმა პატრიოტებმა ცხინვალშიც გადაწყვიტეს ამ დღის აღნიშვნა, ყველგან გამოკიდეს თავისუფალი და ერთიანი საქართველოს დროშები და შესაბამისი ლონისძიებების ჩასატარებლად ემზადებოდნენ. ყოველივე ამან ოსი ხალხის ყოვლად გაუმართლებელი აგრესია გამოიწვია. მათ ჩამოხიეს დროშები, ჩაამსხვრიეს საცხოვრებელი სახლების მინები. რამოდენიმე ადგილას დახვდნენ და ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენეს სოფლებიდან ცხინვალში დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად მიმავალ ქართველ ახალგაზრდებს და სხვა.

"ადამონ ნიხასის" წარმომადგენლებმა თავის მართლება იმით სცადეს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს დროშა, ჩვენთვის დამპყრობლის დროშაა და ცხინვალში მის ფრიალს ვერ შევეგუებით, რადგან 1918 წლის ივნისში ოსეთში შემოიჭრა ქართული გვარდია ვალიკო ჯუღელის მეთაურობით და ხუთი ათასი კაცის სიცოცხლე შეიწირაო.

ჯერ ერთი რომელი დამპყრობლის დროშაზეა საუბარი, როდესაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია ძირძველი ქართული მიწაა, რომელზეც სტუმრად მოსული ხალხის მიერ მასპინძლობის დაჩემება მართლაც რომ უზნეობაა. მეორეც ერთი, 1918 წელს სამაჩაბლოში, თავისუფალი საქართველოს ტერიტორიულად დაყოფისა და დასუსტების მიზნით, რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის მიერ ინსპირირებული იქნა ე.წ. აჯანყება, რომლის მიზანი გახლდათ ოსეთის სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა. ბოლშევიკებმა გარკვეული ვადით მართლაც შესძლეს სამაჩაბლოს "გაწითლება", მრავალი ქართველი ნამულიშვილის სიცოცხლეც შეიწირეს, მაგრამ ქართულმა გვარდიამ ვალიკო ჯუღელის მეთაურობით წერტილი დაუსვა ბოლშევიკურ ტერორს.

ასე, რომ 1918 წლის ივნისში ქართველები ოსებს კი არა ბოლშევიკებს ებრძოდნენ. თუმცა, სამწუხაროდ, პროკომუნისტურმა ძალებმა ოსი ხალხი სრულიად საწინააღმდეგოში დაარწმუნეს, რასაც სავალალო შედეგი მოჰყვა.

26 მაისის ამბების შემდეგ ე.წ. [illegible]ომიურ ოლქში დიდხანს გრძელდებოდა გაფიცვები და მიტინგები. თავდაპირველად ისინი მოითხოვდნენ ოლქის კულტურულ ეკონომიკურ დამოუკიდებლობისა და ზოგიერთი პოლიტიკური საკითხის ადგილზე გადაწყვეტის უფლებას, შემდეგ კი როგორც იტყვიან: მადა ჭამაში მოდისო, მოითხოვეს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და ყველა პოლიტიკური საკითხის ადგილზე გადაწყვეტის უფლება.

აღსანიშნავია, რომ მათი მადის გაღვივებაში დიდი როლი ითამაშა ე.წ. საბჭოთა საქართველოს მთავრობის უსუსურობამ შექმნილ ვითარებაში არასწორი პოლიტიკური პოზიციის დაჭერამ და შემწყნარებლობამ ერთაშორისი შუღლის გამღვივებელთა მიმართ.

9 ნოემბერს ცხინვალში შედგა საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელზეც ანატოლი ჩეხოევი გაანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. როდესაც პლენუმმა მუშაობა დაამთავრა, მოშიმშილეები დასხდნენ საოლქო კომიტეტთან და იქიდან არავინ არ გამოუშვეს. ამასთან სახლებიდან მოიყვანეს სახალხო დეპუტატები და ოლქის მთავრობა, რომელიც ფაქტიურად მძევლობაში ყავდათ, აიძულეს ჩაეტარებინა ზემოთხსენებული სესია.

ამ სესიას მრავლად ესწრებოდნენ "ადამონ ნიხასის" წარმომადგენლები და ფაქტიურად სიტყვით გამომსვლელებიც ძირითადად ისინი იყვნენ. მათ აიძულეს ე.წ. ოლქის მთავრობა მიეღო არაობიექტური დადგენილება, რომელმაც ქართველი საზოგადოების სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია.

23 ნოემბერს თბილისიდან ცხინვალისაკენ გაემართა ავტობუსებისა და მსუბუქი მანქანების გრძელი კოლონა, რომელსაც გზაში სულ ახალახალი ავტობუსები და მსუბუქი მანქანები უერთდებოდნენ. ამ მსვლელობის მონაწილეთა მიზანი გახლდათ ცხინვალში მშვიდობიანი მიტინგის ჩატარება.

შემდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ ქვემოთ მოგითხრობთ.

გაგაცნობთ აგრეთვე საქართველოს დემოკრატიული პარტიის პოზიციას სამაჩაბლოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

დაპირება დაპირებად დარჩა

23 ნოემბერს დილით თერთმეტის წახევარზე გავედით სპორტის სასახლედან. ავტობუსებისა და მსუბუქი მანქანების კოლონას ბოლო არ უჩანდა. მრავლად ფრიალებდა ეროვნული დროშები, საერთო განწყობილება კარგი იყო. ყველამ ვიცოდით, რომ ცხინვალში სანქციონირებული, მშვიდობიანი მიტინგი უნდა ჩატარებულიყო.

როდესაც ცხინვალისაკენ გადავუხვიეთ შოთა გორგოძემ რომელიც ავტოკოლონას წინ მიუძღოდა, ორჯერ გაგვაჩერა. მივხვდი: დრო გაყავდა, რომ და, ბნელებულიყო და მიტინგის ჩატარება შეუძლებელი გამხდარიყო. მესამედ მან სოფელ ტყვიავს, რომ გავცდით მაშინ გაგვაჩერა და კატეგორიულად მოგვთხოვა მიტინგის იქ ჩატარება, რაც უაზრობად ჩავთვალეთ რადგან იმ ტერიტორიაზე ჩვენს მეტი არავინ იყო და ვისთვის ჩაგვეტარებინა მიტინგი თუ ცხინვალის მოსახლეობა არ იქნებოდა. სამის ნახევარზე როგორც იქნა მივუახლოვდით ზღუდერის მთას, აქ ხელისუფლების წარმომადგენლებმა გვთხოვეს, რომ ავტობუსებიდან ჩამოვსულიყავით და ცხინვალამდე დარჩენილი დაახლოებით სამი კილომეტრი ფეხით გაგვევლო. ასეც მოვიქეცით. საბედნიეროდ, შემთხვევით შევხვდი და დავემგზავრე ჩემს მეგობრებს, რომლებიც ავტომანქანა "ვიღისით" მთავარი გზის ავლით აპირებდნენ ცხინვალში შესვლას.

ჩვენ გადავუხვიეთ მინდორში და ამ გზით დაუბრკოლებლად შევედით ქალაქში. შესვლისთანავე ვიგრძენით, რომ მდგომარეობა უალრესად დაძაბულია. ქართველები გვაფრთხილებდნენ, ოსები შეიარაღებულნი არიან და დროზე გაეცალეთ აქაურობასო, მაგრამ ჩვენ გზა გავნაგრძეთ. როგორც იქნა მივაღწიეთ იმ ადგილს, სადაც მსვლელობის მონაწილეებს ჯავშანტრანსპორტიორებით გადაუკეტეს გზა.

მანქანიდან ჩამოვედით, სულ

/ გაგრძელება მე-2 გვერდზე /

როდემდე?..

ბოლო დროს ჩვენი ცნობიერება იმდენად დაიძაბა მოზღვავებული პერმანენტული ფსიქოლოგიური და გონებრივი დატვირთვებისაგან, რომ ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება მისი ბუნებრივი რეაქტაცია. შინაგანი დისკომფორტი არა მარტო დღემდე არსებული სხვადასხვა სახის სტერეოტიპების მსხვრევითა და მათ ადგილზე ღირებულებათა ვაკუუმის შექმნითაა განპირობებული, არამედ იმ მენტორული მანიპულაციებითაც, რომელთაც "ოფიციალური" და არაკანონიერი ხელისუფლება დღემდე ახორციელებს, თავისი ყავლგასული მონოპოლიის შესანარჩუნებლად.

ამის მოწმენი კიდევ ერთხელ გავხდით ახლახანს დამთავრებული ე.წ.საქ.სსრ მე-11 მოწვევის უზენაესი საბჭოს მე-12 სესიის მუშაობის მაგალითზე.

17-18 ნოემბერს ბევრი ჩვენგანი მიუჯდა ტელევიზორის ეკრანს, რათა მოესმინა მე-12 სესიის პირდაპირი ტელერეპორტაჟი. ამ წერილში ჩვენ არ შევეცდებით შემაჯამებელი ანალიზი გავუკეთოთ აღნიშნული სესიის მუშაობას, რასაც მომავლისათვის გადავდებთ. თქვენს ყურადღებას მხოლოდ ერთ ფრიადმნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილებთ, რომლის გარკვევაც ძალზედ აქტუალურია და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი. ყოველ შემთხვევაში თავს ვალდებულად ვთვლით გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, რომელსაც ასეთი ფორმულირებით ჩამოვაყალიბებდით: -დავაკანონოთ თუ არა საქართველოს 1921 წლის ანექსიის პოლიტიკური შედეგები 1990 წლის ე.წ. უზენაესი საბჭოს არჩევნებით?!

ბუნებრივია, რომ საკითხის ასე დასმა ჩვენში შინაგან პროტესტს იწვევს, მაგრამ თუ ღრმად ჩავუფიქრდებით ზუსტად ასე გამოუდით თვითმარქვია უზურპატორებს.

როგორც თქვენთვის არის ცნობილი, აღნიშნულმა სესიამ, პოლიტიკური შეფასება მისცა 1921 წლის მოვლენებს და მიანიშნა მათ არასამართლებრივ ხასიათზე.

ჩვენ ვთვლით, რომ ეს აქცია არ უნდა ყოფილიყო თვითმიზნობრივი კონტექსტის მატარებელი და საჭირო იყო მისგან შესაბამისი პოლიტიკური დასკვნების გამოტანა. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი აღიარება სხვა არაფერი იქნებოდა თუ არა პოლიტიკური ფარსი.

როდესაც ხდება ისეთი ღრმა მნიშვნელობის მოვლენის, როგორიცაა დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს ანექსიის უარყოფითი შეფასება, ჩვენი აზრით, იმავე დროს საჭიროა კატეგორიულად გამიჯვნა ამ მოვლენის პოლიტიკური შედეგებისაგანაც და არა ხალხის მასხრად აგდება. ერთადერთი ისტორიულად ლოგიკური ნაბიჯი, ასეთ პირობებში, უნდა ყოფილიყო საქართველოს მოსახლეობისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭება, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შესაძლებლობით, რაც პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს მრავალპარტიული სისტემის პრინციპების დაცვის საფუძველზე. სინამდვილეში კი სესიამ დააფიქსირა დიამეტრალურად საწინააღმდეგო და ანტიდემოკრატიული პოლიტიკური ხაზი.

სიმართლე გითხრათ პროცესების სხვანაირად განვითარებას არც ველოდით და ამიტომ ჩვენს მოვალეობად ვთვლით კიდევ ერთხელ მივანიშნოთ საქართველოს მოსახლეობას ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური მანიპულაციების ამ გამოვლინებაზე.

ვთვლიდით და ვთვლი, რომ ჭეშმარიტი სტრუქტურული გარდაქმნა შეუძლებელია პოლიტიკური პლურალიზმის გარეშე, რომლის პირველი საფეხურიცაა თავისუფალი და დემოკრატიული და არა ერთმმართველი ხელისუფლების მიერ უზურპირებული არჩევნები.

ზეიმურაზ მნაველი

პარლამენტ ახალგაზრდულთა საპროტესტო აქცია

ისტორიული ბედუკულმართობის გამო ქართველებს ბევრჯერ დაულვრიათ საკუთარი და სხვისი სისხლი მათივე დამპყრობელთა ინტერესების დასაცავად. ისინი მონღოლთა და თურქთა, სპარსთა და "ცარისტული" რუსეთის ლაშქრებში ძალით გარეკილნი ან პატივსა და სიმდიდრეს დახარბებულნი თავდაუზოგავათ იქნევდნენ ქართულ ხმალს, სიმამაცითა და თავგანწირვით აოცებდნენ მათი გმირული ბრძოლების მნახველთ. სანაცვლოთ კი ღებულობდნენ უპატრონო საფლავებს უცხო მიწაზე, დარბეულსა და ტყვედ გაყიდულ ცოლ-შვილს, უზურპატორთა უღლის ქვეშ მგმინავ დედა-სამშობლოს...

1921 წლის 25 თებერვლიდან რუსეთის კომუნისტური იმპერიის შეიარაღებული ურდოების მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ძალადობითი გასაბჭოების [illegible] ათასი ქართველი [illegible]ის სიცოცხლე შეეწირა [illegible]ული შოვინიზმის იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლას, იმპერიის საზღვრების [illegible]ასა და გაფართოებას. დღეს[illegible]ც, ვინ იცის, რამდენი ქარ[illegible]ელი ახალგაზრდა ატარებს რუ[illegible] სამხედრო მუნდირს. ისინი [illegible]შენისტური აგიტაცია-პროპაგანდით თავგზააბნეულნი, თუ იძულებით გაწვეულნი, მათივე სამშობლოს დამპყრობლის ფრთის ქვეშ საბრძოლველად დარაზმულნი ხდებიან ბრმა იარაღნი ვერაგი მტრის ხელში. ხდებიან ჭანჭიკები იმ უზარმაზარი მილიტარისტული მანქანისა, რომლის მეშვეობითაც რუსეთს, კოლონიალიზმის ამ უკანასკნელ მოჰიკანს, მორჩილებაში ჰყავს ჩვენი საქართველო და სხვა ჩაგრული ერები, რომლის იმედითაც გაუმაძღარი იმპერია მთელი მსოფლიოს დაპყრობაზე ოცნებობს. ამიტომ დღეს, როდესაც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავგანწირვით იბრძვის სამშობლოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, ყოველმა ქართველმა ახალგაზრდამ უნდა გააკეთოს არჩევანი, თუ ბარიკადის რომელ მხარეზე დადგეს, იმსახუროს დამპყრობლის ჯარში და ამით გაახანგრძლივოს მისივე სამშობლოს მონობა, თუ უარი თქვას სამხედრო სამსახურზე და ამით დიდი წვრილი შეიტანოს საქართველოს გათავისუფლების საქმეში.

-დამპყრობლის ჯარში სამსახური სამშობლოს ღალატია!- ამ ლოზუნგით, ამა წლის 11 ოქტომბერს თბილისში, დაიწყო და შემდეგ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს მოედო იმ ქართველ ახალგაზრდულთა საპროტესტო აქცია, რომლებიც უარს აცხადებენ დამპყრობლის ჯარში სამსახურზე. ამ აქციის სამართლებრივი საფუძველი არის 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენცია, რომლის თანახმად ოკუპანტ სახელმწიფოს უფლება არა აქვს აიძულოს დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობა, იმსახუროს მის შეიარაღებულ ძალებში. ამ დოკუმენტზე ხელი მოწერილი აქვს საბჭოთა კავშირსაც. ამდენად, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მიერ აქციისათვის ხელის შეშლის ან აქციის მონაწილეთა რეპრესირების ყოველგვარი მცდელობა განხილული უნდა იქნას, როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა.

რუსთავში ახალწვეულთა აქცია დაიწყო 11 ოქტომბერსვე და 11 ნოემბრისათვის მასში უკვე ორმოცდაათამდე ახალგაზრდა რუსთაველი პატრიოტი იღებს მონაწილეობას. ნათი საპროტესტო განცხადებები გადაეცათ რესპუბლიკის კომისარ შარაშენიძესა და ქალაქის კომისარ სიანოსიანს. ამასთან ერთად, უკვე ოცდაცხრა სამხედრო სამსახურმოხდილმა რუსთაველმა საკუთარი სამხედრო ბილეთი გასაუქმებლად გადასცა წმ.ილია მართალის საზოგადოების რუსთავის ფილიალს, რომლის წევრთაგან შემდგარი საორგანიზაციო კომიტეტი კოორდინირებას უწევს ზემოხსენებულ აქციას.

ახალწვეულთა საპროტესტო აქცია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია. იგი არის ქართველი ერის თავისუფალი წების გამოხატულება და ამიტომ ყოველი პატრიოტი მოვალეა თავისი წვლილი შეიტანოს ამ აქციის მიზნების წარმატებით განხორციელებაში.

ზ. ჯანიკაშვილი
წმ. ილია მართლის საზოგადოების რუსთავის ფილიალის გამგეობის წევრი.

სურათზე: აქციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

რა ხდება სამაჩაბლოში?..

აქტუალური თემა

/ გაგრძელება /

შვიდნი ვიყავით: ხუთი მამაკაცი და ორი ქალი. მე გავშალე საქართველოს ეროვნული დროშა, რომლის დანახვაზეც ჩვენს გარშემო მოულოდნელად გაჩნდა სამასამდე აგრესიულად განწყობილი ოსი, რომლებიც გაკვირვებულები გვეკითხებოდნენ აქ საიდან მოხვდითო; როდესაც ავუხსენით მათ კატეგორიულად გვითხრეს, რომ: თუ სიცოცხლე გინდათ დროშა ძირს დააგდეთ და საიდანაც მოხვედით ისევ იქით წადითო. რაზეც ჩვენ განვუცხადეთ, რომ ეროვნულმა დროშამ საქართველოს ყველა კუთხეში უნდა იფრიალოს, რაზეც ისინი კიდევ უფრო გაცხარდნენ, ჩუსურად დაგვიწყეს ღანძღვა და დროშისათვის ცეცხლის წაკიდებას ცდილობდნენ. არ ვიცი ყოველივე ეს რით დამთავრდებოდა ოსი მილიციელი რომ არ გამოჩ[illegible]ლიყო. მისი დახმარებით ჩ[illegible]ლით გავცლოდით აგრ[illegible]ანწყობილ ხალხს და შე[illegible]ით მსვლელობის მონაწი[illegible], რომლებიც ზლუდერის მთა[illegible]ან დაბანაკდნენ, რადგან დაპირდნენ, რომ გზა მაღე გაიხსნება და მიტინგის ჩატარების საშუალებას მოგცემთო, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა.

ნანა მოსიაშვილი

რედაქციისაგან: ამა წლის 22 ნოემბერს შედგა ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის სხდომა, რომელზეც ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენდა, სამაჩაბლოში შექმნილი რთული, პოლიტიკური ვითარების განხილვა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად ისაუბრა ჰელსინკის ჯგუფის წარმომადგენელმა ზ. გამსახურდიამ. მან აღნიშნა, რომ სიტუაცია სამაჩაბლოში შედარებით სტაბილურია.

"ადამონ ნიხასმა" უარყო თავისი ზოგიერთი გაუმართლებელი მოთხოვნა. ამის საპასუხოდ ცხინვალის აქციის ორგანიზატორებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მოეხსნათ მოთხოვნა ე.წ. ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული ის ფაქტი, რომ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას, წმ.ილია მართლის საზოგადოებისა და ჰელსინკის ჯგუფს 23 ნოემბერს დაგეგმილი ჰქონდათ მსვლელობა და მშვიდობიანი მიტინგის ჩატარება ქ. ცხინვალში.

ზ. გამსახურდიამ მიმართა ეხმკ-ში შემავალ ორგანიზაციებს, გამოეთქვათ თავიანთი დამოკიდებულება ამ აქციის მიმართ.

საქართველოს დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა ვ. ტაღახაძემ აღნიშნა, რომ არსებული ვითარების კვლავ გამწვავების საშიშროების გამო, საქართველოს **დემოკრატიულ პარტიას, მიზანშეუწონლად** მიაჩნია ცხინვალში გამგზავრება და მიტინგის ჩატარება. აქედან გამომდინარე ვ. ტაღახაძემ ვეტო დაადო აქციას და მოითხოვა, რომ ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის წესდების მესამე მუხლის თანახმად, ეს აქცია არ ჩატარებულიყო ეროვნული **ხსნის მთავარი** კომიტეტის სახელით. საქართველოს დემოკრატიული პარტიის პოზიციას მხარი დაუჭირა რამდენიმე ოპ-

/გაგრძელება მე-3 გვერდზე/

/ გაგრძელება /

ოზიციურმა პარტიამ. ამრიგად, გადაწყდა, რომ აქცია არ მოეწყობოდა ხსნის კომიტეტის სახელით.

ვფიქრობთ მკითხველი ინფორმირებულია, რომ 23 ნოემბერს აქციის მონაწილეები ცხინვალში არ შეუშვეს. სწორედ ამან გამოიწვია თბილისსა და რუსთავში გაფიცვების გამოცხადება დამოუკიდებლობის მოთხოვნით.

გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ მიტინგებზე რიგი ორატორების მიერ გაფიცვები გამოცხადებული იქნა ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის სახელით. საქართველოს დემოკრატიული პარტია კატეგორიულად აცხადებს, რომ ამის უფლება არავის არ ჰქონდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო და რომელ ორგანიზაციასაც არ უნდა წარმოადგენდეს ის ორატორი, რადგან ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტს მსგავსი დადგენილება არ მიუღია.

სდპ თვლის, რომ ეთნოკონფლიქტები ჩიხში მოაქცევენ ქართულ, განმათავისუფლებელ მოძრაობას და ის ეროვნული ენერგია, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, უნაყოფოდ იქნება დახარჯული უაზრო საომოქალაქო ომში, რომლის დაშვებაც ყოვლად გაუმართლებელია რადგან, ფაქტიურად, ეს კრემლის მიერ ინსპირირებული ყარაბახის ვარიანტის განმეორება იქნება, რაც თავის მხრივ, დამლუპველად იმოქმედებს ეროვნულ მოძრაობაზე.

დღეს, ჩვენი უმაღ[illegible]ესი ამოცანაა, რეფერენდუმის ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩატარება. რეფერენდუმი კი, თუ გეხსენებათ, დემოკრატიული პრინციპებით ბრძოლის ერთ-ერთი, ყველაზე ქმედითი მექანიზმია. ჩვენ ვიბრძვით სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისათვის. ამ მიზნის მისაღწევად კი ეროვნულ მოძრაობაში უნდა დამკვიდრდეს ჰუმანიზმის, პროგრესისა და დემოკრატიის მაღალი იდეალები და იმის ნაცვლად, რომ ეროვნულმა მოძრაობამ ეს პრინციპები დაამკვიდროს, რიგ შემთხვევებში მივმართავთ ბრძოლის აგრესიულ, ანტიდემოკრატიულ ხერხებს რომლებიც ყოვლად გაუმართლებელია. ამის ნათელი მაგალითია უკანასკნელ ხანს სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენები. რა თქმა უნდა, საქართველოს დემოკრატიული პარტია გმობს "ადამონ ნიხასის" ანტიხალხურ მოღვაწეობას, მაგრამ ნუ დავივიწყდება, რომ საქართველოში 160 ათასი ოსი ცხოვრობს. აქედან 60 ათასი ოსი თვით სამაჩაბლოში ცხოვრობს, ხოლო 100 ათასი მოფენილია მთელს საქართველოში. ამასთან მათი უმრავლესობა არ იზიარებს "ადამონ ნიხასის" აზრს. თვით ცხინვალშიც კი ა[illegible]სებობს ოსი მოსახლეობის [illegible] ნაწილი, [illegible] თვლის, რომ "ადამონ ნიხასის" მოღვაწეობა სავსებით უპერსპექტივოა და ოს ხალხს ზიანს მეტს არაფერს მოუტანს. იმის ნაცვლად, რომ სწორი, გააზრებული მოქმედებით ეს ხალხი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რიგებში ჩავაყენოთ, ფაქტიურად ხელს ვუწყობთ ადგომარეობის გამწვავებას სამაჩაბლოში.

განმათავისუფლებელ მოძრაობას უნდა ჰქონდეს მკაცრად ჩამოყალიბებული სტრატეგია და ტაქტიკა, ჩვენ კი რას ვაკეთებთ? ვაკეთებთ იმას, რომ თბილისში ვთამაშობთ პოლიტიკანობანას, სამაჩაბლოში კი-ომობანას. სხვას რას უნდა ნიშნავდეს ის, რომ ფაქტიურად დღის [illegible]ინვალი ბლოკირებულია. ქალაქის [illegible]ადგომები ორ ბანაკად [illegible]ილი. ერთის მხრივ [illegible]ელია, ხოლო მეორეს მხრივ ოსთა შეიარაღებული რაზმების მიერ.

მართალია, არ ხდება პირდაპირი შეტაკებები, მაგრამ სხვა მხრივ ყველაფერი ისეა, როგორც ნამდვილ ომში, სამწუხაროდ არიან დაჭრილებიც.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ორივე მხარის მიერ მიმდინარეობს ე.წ. "საომარი" პირთა დაკავება და მძევლობაში აყვანა. ადგილი ჰქონდა "მძევალთა" შეურაცხყოფის შემთხვევებსაც. ამის უფლება კი არც იურიდიული და არც მორალური, არცერთ მხარეს არ გააჩნია. ყოველივე ეს კიდევ უფრო ამძაფრებს [illegible] შექმნილ ისედაც [illegible]ბას და ხელს უწყობს კრემლის ანტიდემოკრატიული პოლიტიკის გატარებას საქართველოში.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე სდპ მოუწოდებს როგორც ქართველ, ისე ოს ხალხს რომ არ აყვნენ პროვოკაციებს და ყველა ღონე იხმარონ მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის.

/ გაგრძელება იქნება /

სურათებზე: ცხინვალის მისადგომებთან.

ან ზერილში, მე შევეცდები, თანმიმდევრულად და ობიექტურად ავსახო აფხაზეთში ამ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში განვითარებული მოვლენები, რომელთა შემსწრეც პირადად გახლდით, გაგიზიაროთ შთაბეჭდილებები. ვფიქრობ, დროა ითქვას სიმართლე და ყველაფერს თავისი სახელი ეწოდოს, რადგან "არ გაღიზიანებისა და წაყრუების" პოზიცია არსებული მდგომარეობის გაუარესებას უფრო იწვევს, ვიდრე სტაბილიზაციას. აქვე ავღნიშნავ, რომ შეძლებისდაგვარად შევეცდები რომ პასუხი გავცე ყველა იმ კითხვას, რომელიც აფხაზეთის დღევანდელ ცხოვრებაში წამოიჭრა

წერილმა გაუგებრობა რომ არ გამოიწვიოს კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს იმ ფაქტს, რომ მასში ასახულია უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში განვითარებული მოვლენები და ვითვალისწინებ რა იმ ფაქტს, რომ ხშირად ჩვენი აფხაზი ოპონენტები არაობიექტურ შეფასებებს აძლევენ რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს / რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი/ავღნიშნავ, რომ სექტემბრის შუა რიცხვებში განვითარებული მოვლენები აფხაზეთის დღევანდელი ცხოვრებისათვის ნაკლებად დამახასიათებელია. აქვე მსურს მივმართო ჩვენს აფხაზ ოპონენტებს, რომ თუ ისინი არ დაეთანხმებიან ჩემს მოსაზრებებს ნუ შეეცდებიან წერილის ცალკეული ფრაზებისა და წინადადებების თარგმნასა და გავრცელებას ხალხში, არამედ [illegible] ქართულის არამცოდნ[illegible] [illegible] წერილის სრული [illegible] გაცნობის საშუალება და [illegible] ამ გზით განსაჯოს [illegible] ობიექტურობა [illegible] ავღნიშნო, რო[illegible] ჩემი მისია გახლდათ ძიება ლიდაციის გზებისა [illegible]

ნაწერებიც სწორედ ამ პოზიციებიდან არის დაწერილი.

წერილი პირველი
10-27 სექტემბერი

როგორც ცნობილია, აფხაზეთში შექმნილია მძიმე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება. ეროვნებათაშორისმა ურთიერთობამ შეიძლება ითქვას, რომ კრიტიკულ წერტილს მიაღწია. სხვადასხვა ერის წარმომადგენლები ერთმანეთს უნდობლობით და ეჭვის თვალით უყურებენ. ერთადერთი საერთო რაც გააჩნიათ აფხაზეთში მცხოვრებ ეროვნებებს ეს არის აზრი, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, ხალხი დაიღალა სულ მუდამ დაძაბულობისა და შიშის ქვეშ ცხოვრებით. ბუნებრივია, [illegible] კითხვა: რას აკეთებენ აფ[illegible]ის პარტიული: სამარ[illegible]ი და სხვა ორგანოები მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის: დავიწყოთ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტით. [illegible]ორც თავად საოლქო კომიტეტის მდივანმაც ვლადიმერ ავი[illegible]ამაც აღიარა: იდეოლოგიური მუშაობა აფხაზეთში ჩაშლილია, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იდეოლოგიური მუშაობა არა თუ ჩაშლილია, არამედ მიმართულია მდგომარეობის დესტაბილიზაციისაკენ. ამის თქმის საბაბს მაძლევს არა მარტო ვლადიმერ ავიძბას, არამედ საოლქო კომ[illegible] [illegible]ხვა პასუხისმგებელ[illegible]ების პოზიციაც. კერძ[illegible] [illegible] საუბარში ერთი შეხედ[illegible] [illegible] შეიძლება იფიქროს, რომ ისინი სწორად აფასებენ შექმნილ ვითარებას, მაგრამ საკმარისია კამათში აიყოლიო, რომ მაშინვე ბრალს დებენ ქართველ ერს აფხაზი ხალხის უფლებათა უგულვებელყოფაში, საყვედურობენ რესპუბლიკის პრესასა და მასობრივ ინფორმაციის სხვა საშუალებებს, ქართველ მეცნიერებს, ისტორიკოსებს, საზოგადო მოღვაწეებს, არაფორმალური გაერთიანების ლიდერებსა და ყველას, ვისაც რაიმე შეხების წერტილი აქვს აფხაზეთთან და ეს მაშინ როდესაც მათ გამართლებულად მიაჩნიათ გაზეთ "ბზიფის" ანტიქართული მიმართულება, აფხაზეთის ტელე-რადიოკომიტეტის პროვოკაციული გადაცემები, აფხაზი ისტორიკოსებისა და სხვა

ჩანაწერები

ფიქრები ენგურს გაღმა...

ჯიმშერ ბედიანაშვილი

იბაღებ[illegible] კითხვა: რას აკეთებენ აფ[illegible]ის პარტიული: სამარ[illegible]ი და სხვა ორგანოები მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის: დავიწყოთ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტით. [illegible]ორც თავად საოლქო კომიტეტის მდივანმაც ვლადიმერ ავი[illegible]ამაც აღიარა: იდეოლოგიური მუშაობა აფხაზეთში ჩაშლილია, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იდეოლოგიური მუშაობა არა თუ ჩაშლილია, არამედ მიმართულია მდგომარეობის დესტაბილიზაციისაკენ. ამის თქმის საბაბს მაძლევს არა მარტო ვლადიმერ ავიძბას, არამედ საოლქო კომ[illegible] [illegible]ხვა პასუხისმგებელ[illegible]ების პოზიციაც. კერძ[illegible] [illegible] საუბარში ერთი შეხედ[illegible] [illegible] შეიძლება იფქროს, რომ ისინი სწორად აფასებენ შექმნილ ვითარებას, მაგრამ საკმარისია კამათში აიყოლიო, რომ მაშინვე ბრალს დებენ ქართველ ერს აფხაზი ხალხის უფლებათა უგულვებელყოფაში, საყვედურობენ რესპუბლიკის პრესასა და მასობრივ ინფორმაციის სხვა საშუალებებს, ქართველ მეცნიერებს, ისტორიკოსებს, საზოგადო მოღვაწეებს, არაფორმალური გაერთიანების ლიდერებსა და ყველას, ვისაც რაიმე შეხების წერტილი აქვს აფხაზეთთან და ეს მაშინ როდესაც მათ გამართლებულად მიაჩნიათ გაზეთ "ბზიფის" ანტიქართული მიმართულება, აფხაზეთის ტელე-რადიოკომიტეტის პროვოკაციული გადაცემები, აფხაზი ისტორიკოსებისა და სხვა ე.წ. მოღვაწეობა და ამას ხსნიან შემდეგი სიტყვებით, რომ თქვენ თავს გვესხმით და ჩვენ პასუხს გაძლევთო.

როდესაც საუბარი გულახდილად მიმდინარეობს, რწმუნდები, რომ მათი აზროვნება არაფრით არ განსხვავდება ანტიქართულად განწყობილი აფხაზეთის სახალხო ფორუმის "აიდგილარას" და აფხაზეთის საგაფიცვო კომიტეტების-ლიდერების აზროვნებისაგან. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მათი თამაში ორმხრივია, ერთის მხრივ არ სურთ დაკარგონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა ნდობა, მეორეს მხრივ კი არ სურთ მოიმდურონ აფხაზი ექსტრემისტები. ამრიგად, მათი პარტიული მოღვაწეობა ფაქტიურად ანტიხალხურია. თავიანთ პასიურობას ისინი ხსნიან იმით, რომ ამ რთულ ვითარებაში მცირე შეცდომასაც კი შეუძლია გამოიწვიოს საერთო გულისწყრომა და მდგომარეობის გართულება, მაგრამ იბადება კითხვა, ვის გულისხმობენ ისინი სიტყვაში "საერთო"? მათი საუბრიდან გამომდინარე ამ ცნებაში აფხაზი ეროვნების წარმომადგენლები იგულისხმება და არ გაღიზიანების საბაბით მათ შეიძლება ითქვას მთლიანად მიშვებული აქვთ აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის მართვის სადავეები, იმას კი არ ფიქრობენ, რომ სხვა ეროვნების წარმომადგენელთა გულისწყრომას იწვევენ და ნაცვლად ხალხთან ახსნა-განმარტებითი მუშაობისა დგანან მიმდინარე მოვლენებისადმი დანაშაულებრივ პოზიციაზე. თუმცა რომელ დიალოგზეა საუბარი, როდესაც ისინი საგაფიცვო კომიტეტების მოთხოვნებს სავსებით ეთანხმებიან, რადგან მათი პოზიციებიც ანტიქართულია, და თუ რაიმე ღონისძიებას ატარებენ, ისინიც მოჩვენებითი და ზედაპირული ხასიათისაა. აი, ის, რისი თქმაც შეიძლება აფხაზი ეროვნების პასუხისმგებელი პარტიული მუშაკების შესახებ. რაც შეეხება საოლქო კომიტეტში მომუშავე ქართველი ეროვნების პასუხისმგებ მუშაკებს, მათზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან მათ ჩვენთან საუბრისაც [illegible] ეშინიათ, ვაითუ აფხაზები გაგვინაწყენდნენო;

ადვილი წარმოსადგენია თუ რა პოზიციას დაიჭერენ კრიზისულ მომენტში. ისინი ამჯობინებენ არც მწვადი დასწვან და არც შამფური და არსებულ სიტუაციაში, როდესაც ხალხი ითხოვს ითქვას სრული სიმართლე და მიღებული იქნას გადამჭრელი ზომები მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის, რამდენად გამარჯვებულია მსგავსი პოზიცია თავად განსაჯეთ.

მაქვს სრული საფუძველი ვთქვა, რომ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი არ ცდილობს რაიმე ილონოს მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის და ხალხს არ სჯერა მისი. როგორც აფხაზი ისე ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები 15-16 ივლისის ტრაგედიას ძირითადად მის უნიათო მუშაობას აბრალებენ. რაც შეეხება აფხაზეთის ტელერადიო კომიტეტს, აქ მდგომარეობა შედარებით რთულია, რადგან ის აშკარად ანტიქართულ პოზიციაზე დგას. რადიოს ქართული რედაქციის თანამშრომლებს ნორმალური მუშაობის საშუალებას არ აძლევენ. "არ გაღიზიანების საბაბით პროგრამიდან იხსნება არა მარტო ცალკეული სიუჟეტები, არამედ მთლიანი გადაცემებიც კი და ეს მაშინ როდესაც აფხაზურ და რუსულ ენებზე ყოვლად მიუღებელ გადაცემებს ამზადებენ და ამით კიდევ უფრო აღვივებენ ეროვნებათაშორის შუღლს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც საოლქო კომიტეტში, ისე ტელერადიო კომიტეტში და აბსოლუტურად ყველგან ავრცელებენ აზრს, რომ 15 ივლისს პირველი თავდასხმა ქართველებმა მოაწყეს, რაც სიცრუეა, მაგრამ სამწუხაროდ პროკომუნისტურმა ძალებმა ამაში დაარწმუნეს აფხაზი მოსახლეობის ფართო მასები.

/გაგრძელება იქნება/

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუგიოდაფე რუსთავში





რუსეთის 1917 წლის 25 ოქტომბრის /7 ნოემბრის/ ბოლშევიკურმა გადატრიალებამ, ქართველ ერს უბედურების მეტი არაფერი მოუტანა რუსეთის შოვინისტურმა ბოლშევიკურმა მთავრობამ, საქართველოს თავისუფალი განვითარების ყველა არხი საიმედოდ გადაუკეტა და ამით ის კარგა ხნით დაკაბალა. რასაკვირველია ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ქართველი პატრიოტები არასოდეს შერიგებიან და არც შეურიგდებიან ამ თარეულის ზარზეიმით აღნიშვნას. ამიტომ საქართველოს დემოკრატიული პარტიის საქალაქო კომიტეტისა და წმ. ილია მართლის საზოგადოების რუსთავის ფილიალის ინიციატივით მოეწყო სამგლოვიარო მანიფესტაცია, ახალი სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიიდან ლენინის მოედნის მიმართულებით. მანიფესტანტებს სოლიდარობა გამოუცხადეს ქალაქის მოსახლეობისა და მუშათა კლასის გარკვეულმა ნაწილმა.

მანიფესტაციის დასასრულს მოეწყო საპროტესტო მიტინგი, რომელზეც გამომსვლელებმა ისაუბრეს ეროვნული მოძრაობის შემდგომი განვითარებისა და ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის თვისობრივად ახალ ეტაპზე გადასვლის აუცილებლობაზე.

მიტინგის დასასრულს მოეწყო რუსეთის იმპერიისა და მისი მარიონეტული ფილიალის საბჭოთა საქართველოს დროშების სიმბოლური **აუგიოდაფე**.

სურათებზე: 7 ნოემბრის აქცია.

საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციების ერთობლივი კომუნიკე

ჩვენ, საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები: საქართველოს ჰელსინკის კავშირი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, საქართველოს დემოკრატიული პარტია, საქართველოს მონარქისტული პარტია, საქართველოს ეროვნული სამართლიანობის პარტია, ქრისტიან-დემოკრატთა ახალგაზრდული ასოციაცია ვაცხადებთ, რომ ამიერიდან ვიწყებთ ერთიან ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ეროვნული ხსნისა და აღორძინებისათვის.

მერაბ კოსტავას ნათელი სული მოგვიწოდებს გაერთიანებისაკენ, რამეთუ მისი ოცნება იყო საქართველოს ყველა ეროვნულ ბალთა კონსოლიდაცია და ერთობლივი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. აღსრულდა მისი ოცნება, თუ იყოს ნება მისი!

ჩვენ შორის მიღწეულია პოზიციათა შეთანხმება საჭირბოროტო ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის გზებთან დაკავშირებით, რამეთუ ჩვენს პროგრამებსა და პოლიტიკურ შეხედულებებს შორის ნიუანსური განსხვავებანი არ გვაძლევს დაქსაქსული, სეპარატისტული მოქმედების საფუძველს, მითუმეტეს, რომ ჩვენ მიზანი ერთია-საქართველოს დამოუკიდებლობა. ამიერიდან ჩვენ ურთიერთთან შევათანხმებთ ტაქტიკურ და სტრატეგიულ საკითხებს. აქციებს დავგეგმავთ და განვახორციელებთ საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე. სადავო და საკონფლიქტო საკითხებს გადავწყვეტთ მოლაპარაკების გზით.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს დემოკრატიული პარტია და ეროვნული სამართლიანობის პარტია ბრუნდებიან ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში, ხოლო მონარქისტული პარტია და ქრისტიან-დემოკრატთა ახალგაზრდული ასოციაცია- შემოდის ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში ლმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

1989წლის 29 ოქტომბერი.

საქართველოს დემოკრატიული პარტიის

განცხადება

1989 წლის 22 ოქტომბერს შედგა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის /დემოკრატებისა/ მეორე პლენარული სხდომა. სხდომამ შეაფასა პარტიის მუშაობა განვლილ პერიოდში.

პლენარული სხდომის მონაწილეთა ხმების უმრავლესობით გადაწყდა, რომ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას /დემოკრატებისა/ ეწოდოს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ა.

სხდომამ ფარული კენჭისყრით აირჩია საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი ხუთი კაცის შემადგენლობით: ვაჟა მთავრიშვილი, ვახტანგ ტაღახაძე, თენგიზ შარმანაშვილი, მაყვალა ჩახვაშვილი, გიორგი ზუმბაძე.

პარტიის პროგრამასა და წესდებაში ცვლილებები არ მომხდარა.

თბილისი, 1989 წ. 23 ოქტომბერი

ლია წერილი

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს გაკატინს

ლეონიდ ანანიევს

გატონო მინისტრო! როგორც ჩვენ "შევიტყვეთ" საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა ჯარები "დუბინკების" ნაკლებობას განიცდიან. "დუბინკები" კი მოგეხსენებათ "აუცილებელი" და "ეფექტური" საშუალებაა "პერესტროიკის" საბჭოთა კავშირის ხალხისაგან "დაცვის" საქმეში.

გაითვალისწინა რა შექმნილი საგანგებო მდგომარეობა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მფლობელმა ამხ. ქაშაკაშვილმა დაამზადა "დუბინკების" ახალი სახეობა, რომელიც შედგება რეზინის მილებისა და რკინის ბურთულებისაგან და შინაგანი ჯარების მიერ ხმარებაში მყოფ "დუბინკებზე" ბევრად უფრო ეფექტურია და რომლის გამოყენებასაც აპირებდა 9 აპრილს ქართველი პატრიოტების დასარბევად ქ. რუსთავში.

ამრიგად, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში დამზადებული "ქართული" ხელკეტები მბვიდობიანი დემონსტრანტებისა და მომიტინგეების დარბევის საუკეთესო საშუალებაა.

შეიძინეთ "ქართული" ხელკეტები.

დაწვრილებითი ცნობებისათვის რეგიმლიათ მიმართოთ მეტალურგიული ქარხნის მფლობელს ამხ. ქაშაკაშვილს.

საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში გაერთიანდნენ:

1. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია
2. წმინდა ილია მართლის საზოგადოება
3. საქართველოს ჰელსინკის კავშირი
4. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
5. ეროვნული სამართლიანობის პარტია
6. მონარქისტული პარტია
7. საქართველოს დემოკრატიული პარტია
8. ქრისტიან-დემოკრატიული ასოციაცია
9. საქართველოს ეროვნული ლირსების კავშირი

მთავარი რედაქტორი ჯიმშერ გელანაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გენადი უჯუმგეგაშვილი
სარედაქციო კოლეგია: კობა მშვილდაძე, დავით მშველიძე, გელან ჭუბაბრია.

მოგვწერეთ: ქ. რუსთავი არაყიშვილის 3 – 2
დაგვირეკეთ: ტექნიკური რედაქტორი 14-24-58

გაზეთი გამოდის არაპერიოდულად
ფასი 1 მანეთი

გაზეთი "დემოკრატი" გამოდის დემოკრატიული პრინციპით. ვაქვეყნებთ, როგორც პარტიის წევრის, ისე ნებისმიერი პატრიოტის წერილებს აქტუალურ თემაზე.

ავტორს, მისი სურვილის მიხედვით, შეუძლია დარჩეს ინკოგნიტოდ.

რედკოლეგია